

კანონპროექტებით გათვალისწინებული ცვლილებები
საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ
კანონმდებლობაში - ძირითადი საკითხები

შინაარსი

1) საკონსტიტუციო სასამართლოში სამი კოლეგიის ჩამოყალიბება.....	3
2) საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიების ჩამოყალიბების და გადახალისების პროცესის ცვლილება.....	4
3) საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების და მდივნის არჩევის წესის ცვლილება.....	5
4) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელში არმითითებულ კონსტიტუციურ უფლებებთან სადავო ნორმების შემოწმების უფლებამოსილება	5
5) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების მხოლოდ მოსარჩელესთან შეჩერების უფლებამოსილება	7
6) სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი და დავის საგნის საკითხი.....	8
7) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის საკითხი.....	9
8) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი სამართლის სხვადასხვა დარგებში	11
9) საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი	12
10) საკონსტიტუციო სასამართლოში პრიორიტეტული საქმეების დაჩქარებულად განხილვა.....	13
11) პარლამენტის მიერ შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.....	14
12) საკონსტიტუციო სასამართლოში ძალადაკარგული ნორმის გასაჩივრება	14
13) საქმის განხილვის დროს სადავო ნორმის ცვლილების და მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის საკითხი	15
14) კანონპროექტებში ასახული სხვა საკითხები	16

1) საკონსტიტუციო სასამართლოში სამი კოლეგიის ჩამოყალიბება

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელების ყოველწლიურ ზრდასთან ერთად, აქტუალური ხდება სასამართლოს მიერ საქმეების გონივრულ ვადებში გადაწყვეტის საკითხი.

ამ კუთხით სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლოში, დღეს მოქმედი ორის ნაცვლად, სამი კოლეგიის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიის შეფასებით, სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის გადასაჭრელად ერთ-ერთი გამოსადეგი მექანიზმი შეიძლება იყოს საქმეთა განსახილველად უფრო პატარა კოლეგიების ჩამოყალიბება. ვენეციის კომისია ასევე მიუთითებს, რომ თუ კოლეგიებს კონკრეტულ საკითხზე ერთმანეთისგან განსხვავებული პრაქტიკა აქვთ ან თუკი კონკრეტულ საკითხზე სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ არსებობს ასეთი საქმეები განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს სრული შეამდგენლობით.¹

გარდა გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრისა, საკონსტიტუციო სასამართლოში სამი კოლეგიის ჩამოყალიბებას ინსტიტუციური კუთხით ასევე აქვს სხვა დადებითი მხარეები. კერძოდ, ამ შემთხვევაში მოსამართლეების შემრჩევი თითოეული სუბიექტის (საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო) მიერ დანიშნული მოსამართლეები თანაბრად იქნებიან გადანაწილებული კოლეგიებში. სხვადასხვა სუბიექტების მიერ განმწესებული წევრების კოლეგიებში თანაბარი განაწილება კი, არსებითად ამცირებს კოლეგიაში ერთი სუბიექტის მიერ განმწესებული მოსამართლეების კონცენტრაციას და ამ სუბიექტისადმი შესაბამისი კოლეგიის ლოიალობის რისკს.

ასევე აღსანიშნავია რომ სამი კოლეგიის ჩამოყალიბების შემთხვევაში ერთ-ერთი კოლეგიას უხელმძღვანელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც სხვა მოსამართლეების მსგავსად, ჩართული იქნება საქმეთა განხილვაში.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სისტემაში სასამართლოს თავმჯდომარეები არ იყვნენ აღქმული სხვა მოსამართლეებზე იერარქიულად მაღლა მდგომ პირებად. ამ მიზნის მისაღწევად სასამართლოს თავმჯდომარე, სხვა მოსამართლეების მსგავსად, ყოველდღიურ რეჟიმში დაკავებული უნდა იყოს საქმეთა განხილვით, რაც სამი კოლეგიის ჩამოყალიბების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებაც. მაგალითისათვის, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასევე არის ერთ-ერთი სენატის წევრი და, სხვა მოსამართლეების მსგავსად, მონაწილეობს საქმეთა განხილვაში.² როგორც წესი, ბელგიაში

¹ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების შესახებ“ ვენეციის კომისიის დასკვნა- Study On Individual Access To Constitutional Justice Adopted by the Venice Commission as its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), Study N538/2009,, გ. 59, პარ. 225, ხელმისაწვდომია - [http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e)

² ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-15 პარაგრაფის პირველი აზვაცი, ხელმისაწვდომია- http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Downloads/EN/Gesetze/BVerfGG.pdf?__blob=publicationFile&v=5

საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ნაწილი განიხილავს. ამ განხილვას ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.³

2) საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიების ჩამოყალიბების და გადახალისების პროცესის ცვლილება

მოქმედი კანონმდებლობით, კოლეგიის შემადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

ამასთან, კოლეგიის შემადგენლობა უნდა გადახალისდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევიდან 10 დღეში, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობის ორი ან ორზე მეტი წევრით შეცვლიდან ერთი თვის ვადაში.

კანონით ასევე განსაზღვრულია, რომ თუ საქმის განხილვაში ვერ მონაწილეობს კოლეგიის ორი წევრი, პლენუმი უფლებამოსილია მას დროებით მიამაგროს მეორე კოლეგიის ერთ-ერთი წევრი (გარდა კოლეგიის თავმჯდომარისა), რომელიც არ შეიძლება დაინიშნოს მომხსენებელ მოსამართლედ.

მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიების შემადგენლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული სასამართლოს თავმჯდომარისა (წარდგენა) და მოსამართლეების (დამტკიცება) სუბიექტურ ნება-სურვილზე. ამით იზრდება კოლეგიების სხვადასხვა სუბიექტური მოტივებით დაკომპლექტების საფრთხე.

მიგვაჩნია, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული კოლეგიების შემადგენლობის წილისყრით განსაზღვრის მექანიზმი ამ რისკს არსებითად ამცირებს. წილისყრის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც ორი, ასევე სამი კოლეგიის პირობებში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის, პარლამენტის და უზენაესი სასამართლოს მიერ განწესებული მოსამართლეები თითოეულ კოლეგიაში თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი.

მიგვაჩნია, რომ ასევე პრობლემურია არსებულ კანონმდებლობაში არსებული წესი, რომლითაც კოლეგიის შემადგენლობის გადახალისების მიზმულია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევაზე. ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები (მაგალითად, შეიძლება საჭირო გახდეს კონსტიტუციური სარჩელების გადანაწილება) და საქმეთა განხილვის გაჭიანურება.

ნათელია, რომ კოლეგიის შემადგენლობა ისედაც გადახალისდება, როდესაც რომელიმე მოსამართლეს გასდის ან ვადამდე უწყდება უფლებამოსილება. თუ ერთ მოსამართლეს გაუვიდა ვადა ან ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, ახლად განწესებულმა წევრმა უნდა დაიკავოს მისი ადგილი და მასვე გადაეწეროს ამ მოსამართლის საქმეები. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს რამოდენიმე წევრს ერთდროულად გაუვიდა ვადა ან შეუწყდა უფლებამოსილება, მაშინ ახლად

³ დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ბელგიის კანონის 55-ე მუხლი, ხელმისაწვდომია - <http://www.const-court.be/>.

განწესებულ მოსამართლეების შორის ადგილები ისევ უნდა განაწილდეს წილისყრით (სხვადასხვა სუბიექტის მიერ განწესებული წევრების თანაბარი განაწილების პრინციპის დაცვით).

მიგვაჩნია, რომ ასევე ხარვეზულია არსებულ კანონმდებლობაში ერთი კოლეგიიდან სხვა კოლეგიაში მიმაგრების წესი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ინსტიტუტი მოქმედებს გერმანიაშიც, სადაც სხვა კოლეგიაში მოსამართლის მიმაგრება ხდება წილისყრით.⁴ გონივრულია, ამ გამოცდილების გაზიარება, რათა სრულიად გამოირიცხოს კოლეგიის შემადგენლობის შევსება სუბიექტური მოსაზრებების გავლენით.

3) საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების და მდივნის არჩევის წესის ცვლილება

წარმოდგენილი ცვლილებები ასევე გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შემცირებას თავმჯდომარის მოადგილეების და მდივნის არჩევის პროცესში. კერძოდ, უქმდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, ერთპიროვნულად დაასახელოს თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის კანდიდატურა. მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელნი არიან. შესაბამისად, არ უნდა არსებობდეს ფორმალური საფუძველი, რომლის მოქმედების პირობებშიც ისინი თავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე იგრძნობენ ანგარიშვალდებულად. უნდა გამოირიცხოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და მდივნის აღქმა თავმჯდომარესთან დაახლოებულ პრივილეგირებულ გუნდად.

4) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელში არმითითებულ კონსტიტუციურ უფლებებთან სადავო ნორმების შემოწმების უფლებამოსილება

დღეის მდგომარეობით მოქმედი პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლო უარს ამბობს საქმის არსებით განხილვაზე, თუკი მოსარჩელე არასწორ კონსტიტუციურ ნორმასთან დააყენებს სადავო ნორმას. ამ ზოგადი წესიდან სასამართლომ გამონაკლისი დაუშვა, იმ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება საერთო სასამართლოს წარდგინებას.

საქმეზე “საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“ და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის

⁴ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-19 პარაგრაფის მე-4 აბზაცი, ხელმისაწვდომია

http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Downloads/EN/Gesetze/BVerfGG.pdf?__blob=publicationFile&v=5

თაობაზე”⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ არ იმსჯელა სასამართლოს მიერ მითითებულ კონსტიტუციის ნორმაზე და თვითონ მიუთითა სწორი კონსტიტუციური ნორმა. თუმცა არსებული პრაქტიკით ეს სტანდარტი არ ვრცელდება სხვა პირების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელებზე.

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია რომ საკმარისია, წარდგინებაში მკაფიოდ იკვეთებოდეს კონსტიტუციური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც სურს კონსტიტუციური წარდგინების ავტორს. საკონსტიტუციო სასამართლო იხელმძღვანელებს წარდგინების ავტორის მოსაზრებით, თუ რა შინაარსობრივ შეუსაბამობას იწვევს კონსტიტუციასთან სადავო ნორმატიული აქტის გამოყენება. შესაბამისად, სადავო ნორმის/ნორმების კონსტიტუციურობა შეფასდება კონსტიტუციის იმ დებულებასთან, რომელიც პასუხს სცემს წარდგინების ავტორის მიერ იდენტიფიცირებულ სადავო საკითხს.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სტანდარტი უნდა გაფართოვდეს და მოიცვას სხვა შემთხვევებიც. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხორციელდება კონსტიტუციისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია ვერ დაიყვანება მხოლოდ კონკრეტული მოსარჩელის სუბიექტური უფლებების დაცვამდე. მას ასევე აქვს უფრო ფართო, ობიექტური საჯარო ფუნქცია - კონსტიტუციური წესრიგისა და პრინციპების დაცვა. შესაბამისად, სასამართლომ არ უნდა თქვას უარი არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმებაზე მხოლოდ იმ ფორმალური მოტივით რომ მოსარჩელემ სწორად არ მიუთითა შესაბამისი კონსტიტუციური უფლება.

აღსანიშნავია, რომ რიგ სამართლებრივ სისტემებში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, არათუ სხვა კონსტიტუციურ ნორმასთან შეამოწმოს სადავო ნორმების კონსტიტუციურობა, არამედ ასევე უფლებამოსილია იმსჯელოს იმ სადავო ნორმებზეც, რომელიც მოსარჩელის მხრიდან არ იყო გასაჩივრებული. მაგალითისათვის, ავსტრიაში, ბრაზილიაში, ხორვატიაში, ჩეხეთში, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განიხილოს სადავო ნორმასთან დაკავშირებული ნორმები. საკონსტიტუციო სასამართლო იღებს ინდივიდუალურ სარჩელს საფუძვლად უფრო ზოგადი კონსტიტუციური კონტროლის განსახორციელებლად და ამით კანონმდებლობიდან აქრობს უფლებების დამრღვევ ნორმებს.⁶

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/1/608,609 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე.

⁶ „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების შესახებ“ ვენეციის კომისიის დასკვნა- Study On Individual Access To Constitutional Justice Adopted by the Venice Commission as its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), Study N538/2009,, გ. 43, პარ. 158, ხელმისაწვდომია - [http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e)

5) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების მხოლოდ მოსარჩელესთან შეჩერების უფლებამოსილება

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, სადავო ნორმის შეჩერების საკითხის განხილვისას სასამართლო ითვალისწინებს იმ მესამე პირთა უფლებებს, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის შეჩერებით. დღეს მოქმედი კანონმდებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა ითვალისწინებს სადავო ნორმის მხოლოდ ზოგად შეჩერებას, რაც გამოირიცხავს სადავო ნორმის მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით, ინდივიდუალურად შეჩერებას.

მესამე პირთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, სასამართლო მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში აკმაყოფილებს მოსარჩელეთა შუამდგომლობებს სადავო ნორმის შეჩერებასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით შეიძლება განხილულ იქნეს, სასამართლოს მიერ, სადავოდ გამხდარი ნორმის მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით შეჩერების საკითხი.

თუ სასამართლოს მიეცემა შესაძლებლობა სადავო ნორმა შეაჩეროს მხოლოდ კონკრეტულ მოსარჩელესთან მიმართებით, სავარაუდოა, რომ ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ამ მექანიზმის გამოყენების სიხშირეს, რადგან სასამართლოს აღარ მოუწევს ბლანკეტურად იმსჯელოს იმ მესამე პირთა უფლებების სავარაუდო დარღვევაზე, რომელთაც ზიანი შეიძლება მიადგეთ სადავო ნორმის ზოგადი შეჩერებით.

ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის არაკონსტიტუციურობის საკითხის მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით გადაწყვეტა ასახულია არაერთი სახელმწიფოს პრაქტიკაში. მაგალითისათვის, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და კვიპროსში საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტი მკაცრად შემოფარგლულია კონკრეტული საქმით. მეტიც, პორტუგალიაში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეფექტი აქვს მხოლოდ კონკრეტული სარჩელის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურობას დაადგენს სამ მოსარჩელესთან მიმართებით, შემდეგ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აბსტრაქტული კონტროლი განახორციელოს და შეაფასოს ამ ნორმის არაკონსტიტუციურობის საკითხი.⁷

⁷ „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების შესახებ“ ვენეციის კომისიის დასკვნა- Study On Individual Access To Constitutional Justice Adopted by the Venice Commission as its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), Study N538/2009,, გ. 46, პარ. 170, ხელმისაწვდომია - [http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e)

6) სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი და დავის საგნის საკითხი

მოქმედი კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს სხვა ორგანოს კომპეტენციის დამრღვევი მხოლოდ ნორმატიული აქტი, რაც ამცირებს ამ მექანიზმის ეფექტურობას, რადგანაც გამორიცხავს კომპეტენციის დამრღვები ინდივიდუალური აქტის ან მოქმედების სასამართლოში გასაჩივრებას.

აღნიშნული ემსახურება ეფექტური კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების მიზნებს, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციის დარღვევა შესაძლებელია არა ნორმატიული, არამედ ინდივიდუალური აქტით ან მოქმედებით ხორციელდებოდეს.

ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია, რომ კომპეტენციის თაობაზე დავა, პირველ რიგში, ემსახურება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვას. თავის მხრივ, ხელისუფლების დანაწილება სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ელემენტია. დღეისათვის საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა არის დარჩენილი შემთხვევები, როდესაც რომელიმე კონსტიტუციური ორგანოს კომპეტენციას არღვევს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ეს ამცირებს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის მნიშვნელობასა და ეფექტიანობას. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით კომპეტენციის ხელყოფის ნეგატიური შედეგი შეიძლება არანაკლებ სერიოზული იყოს, ვიდრე ნორმატიული აქტით განხორციელებული დარღვევისა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ ორგანოს (თანამდებობის პირს) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილება არ აქვს. ამდენად, მათი საქმიანობა, ამ კუთხით, მთლიანად გადის საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებს გარეთ.

დამატებით აღსანიშნავია საერთაშორისო გამოცდილება. მაგალითად, გერმანიაში გასაჩივრებას ექვემდებარება ნებისმიერი ღონისძიებით ან უმოქმედობით კომპეტენციის დარღვევის შემთხვევები.⁸ *ლიხტენშტეინის* კანონმდებლობა,⁹ ე.წ. „კომპეტენციის პოზიტიურ კონფლიქტთან ერთად“, ითვალისწინებს ე.წ. „კომპეტენციის ნეგატიურ კონფლიქტს“, როდესაც სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს თავის კომპეტენციას.¹⁰ რომელიმე სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კომპეტენციის განხორციელებაზე მოქმედებით ან უმოქმედობით

⁸ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 64-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, ხელმისაწვდომია - http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Downloads/EN/Gesetze/BVerfGG.pdf?__blob=publicationFile&v=5.

⁹ ზუენაესი სახელმწიფო სასამართლოს შესახებ კანონის 24-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, ხელმისაწვდომია - <https://www.gesetze.li/konso/2004032000>.

¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოებისა და ეროვნული სასამართლოების ურთიერთობა, ამ ნაწილში ევროპული სასამართლოების ჩარევასთან ერთად - ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოთა მე-12 კონგრესი (The relations between the Constitutional Courts and the other national courts, including the interference in this area of the action of the European courts – Conference of European Constitutional Courts XIIth Congress, Report of the State Court of Justice of Principality of Liechtenstein by Prof. Dr. Andreas Kley)¹⁷ - ხელმისაწვდომია - <http://www.confconstco.org/reports/rep-xii/Liechtenstein-EN.pdf>

უარის თქმამ შეიძლება ზიანი მიაყენოს კონსტიტუციურ წესრიგს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს. გარდა ამისა, შეიძლება ერთი ორგანოს უმოქმედობამ ხელი შეუშალოს, დააბრკოლოს სხვა ორგანოს კონსტიტუციური კომპეტენციის განხორციელება. აქედან გამომდინარე, ამგვარი შემთხვევებიც უნდა გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი, რაც დასრულდება შესაბამისი ორგანოს დავალდებულებით, განახორციელოს მისი კონსტიტუციური კომპეტენცია (გამოსცეს აქტი ან განახორციელოს მოქმედება).

ამ ნაწილში ასევე რელევანტურია გერმანიაში არსებული მოდელი, რომლის ფარგლებშიც გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია არაკონსტიტუციურად ცნოს არა მხოლოდ ნორმები, არამედ საჯარო ორგანოების ქმედებებიც.¹¹

ამ მხრივ ასევე საგულისხმოა უნგრეთის პრაქტიკაც, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის არაეფექტიან საშუალებად მიიჩნია. სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ უნგრეთის უმაღლესი სასამართლო შემოიფარგლებოდა მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის აბსტრაქტული კონტროლით. შესაბამისად, არ არსებობდა ინდივიდუალური ღონისძიებების გაუქმების ან შეცვლის შესაძლებლობა.¹²

ასევე საგულისხმოა, რომ ესპანეთსა და ჩეხეთშიც საკონსტიტუციო სასამართლოებს შესაძლებლობა აქვთ, გამოასწორონ ოფიციალურ უწყებათა მიერ უფლებათა დარღვევები ან კიდევ, როდესაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევა წარმოადგენს არა გადაწყვეტილების, არამედ სხვაგვარი ჩარევის შედეგს, ისინი უფლებამოსილნი არიან აუკრძალონ შესაბამის უწყებას, განაგრძოს აღნიშნული უფლების დარღვევა და მიუთითონ მას, რომ თუკი ეს შესაძლებელია, აღადგინოს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა.¹³

7) საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის საკითხი

ინიციატივები ასევე მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწას.

ცხადია, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ინსტიტუტი მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს ემსახურება, კერძოდ მისი მიზანია უზრუნველყოს სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ორგანოს ავტორიტეტის დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლის

¹¹ <https://www.britannica.com/topic/Federal-Constitutional-Court>

¹² აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, N40765/02 28.02.2007, პარ.41 - Vén c. Hongrie, no 21495/93, კომისიის 1993 წლის 30 ივნისის განჩინება, არ გამოქვეყნებულა

¹³ აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, N40765/02 28.02.2007, პარ.42 - Hartman c. République tchèque, no 53341/99, §49, CEDH 2003-VIII, et Sürmeli c. Allemagne [GC], no 75529/01, §62, CEDH 2006-VII

ქმედება საფრთხეს უქმნის სასამართლოს კონსტიტუციური მანდატის განხორციელებას. ამასთან, დისციპლინური წარმოების წესები და პრაქტიკა არ უნდა იძლეოდეს მისი ბოროტად გამოყენების და ამგვარად კონკრეტულ მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას. აღნიშნულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გონივრული, განჭვრეტადი ნორმატიული ბაზის არსებობას, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლოს ავტორიტეტის და კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, გამორიცხავს მისი ბოროტად გამოყენებით, კონკრეტულ მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის რისკს.

მოქმედი კანონით დისციპლინური საქმისწარმოება იწყება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიისადმი მიმართვით, რომელსაც საკითხის შესასწავლად 10 დღის ვადა აქვს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასევე იწვევს პლენუმის სხდომას, რომელიც უნდა გაიმართოს მოწვევიდან 15 დღის ვადაში. თუმცა, რეგლამენტით ცხადად არ არის განსაზღვრული თუ რა მიზნით ხდება 15 დღის ვადაში პლენუმის მოწვევა და ამ ვადებში მიღებულ უნდა იქნეს თუ არა დისციპლინურ სამართალწარმოებაზე საბოლოო გადაწყვეტილება.

ამასთან, როგორც მოსამართლე მერაბ ტურავას საქმის განხილვისას გამოჩნდა, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ ვადას არ განიხილავს გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადად, რადგან გადაწყვეტილება გაცილებით გვიან იქნა მიღებული.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში არსებობს მკაცრად გაწერილი ვადები დისციპლინური პროცესის დასრულებისთვის. განუსაზღვრელი ან არაგონივრულად ხანგრძლივი ვადით მოსამართლის წინააღმდეგ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება და, შესაბამისად, შესაძლო მძიმე დისციპლინური სანქციის მოლოდინი, საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას. მითუმეტეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლესთან მიმართებით კანონმდებლობა დისციპლინური სანქციის სახით მხოლოდ უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა და კანონმდებლობა ემყარებოდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცედურებს.

კანონპროექტი ითვალისწინებს, დისციპლინურ პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნული უფლებამოსილებების შეზღუდვასაც. კერძოდ, კანონპროექტის ფარგლებში მოაზრებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს არ უნდა შეეძლოს ერთპიროვნულად, ბრძანების საფუძველზე დაამტკიცოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის შემადგენლობა. კანონპროექტით შემოთავაზებულია ალტერნატიული გზა, რომლის თანახმადაც, ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის შემადგენლობას სასამართლოს პლენუმი ამტკიცებს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულია დისციპლინური სანქციების სახეების ცვლილება. როგორც აღინიშნა, დისციპლინური ღონისძიების სახედ დღეს კანონმდებლობა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას ითვალისწინებს, რაც რიგ შემთხვევაში არაპროპორციული სანქციად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომაც, ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით სასამართლოს უნდა შეეძლოს

საჭიროების შემთხვევაში უფრო ნაკლებად მძიმე სანქციის - კერძო კერსარეკომენდაციო ბარათის - გამოყენება.

8) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტი სამართლის სხვადასხვა დარგებში

მოქმედი კანონმდებლობით, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, განსხვავებით სისხლის სამართლისგან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ რიგ შემთხვევაში შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილოს, თუმცა პირის დარღვეული უფლებები ამით ვერ აღდგეს.

სამოქალაქო ურთიერთობაში ამ საკითხის განხილვა საფრთხილო თემაა, რადგანაც მეორე მხარეს ასევე დგას იმ კერძო პირი ინტერესები, რომელიც ენდობოდა კანონის დანაწესს. ადმინისტრაციულ სამართალშიც რიგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს კონკრეტული გადაწყვეტილებით ასევე შეიძლება სარგებლობდეს კერძო პირი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით გავრცელებამ მის ინტერესებს მიაყენოს ზიანი. თუმცა, უდავოა რომ ასევე გასათვალისწინებელია იმ მოქალაქის ინტერესი რომელსაც არაკონსტიტუციური კანონით შეელახა კონსტიტუციური უფლება. ამასთან, სრულიად გაუმართლებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უკუძალით არ ვრცელდებოდეს იმ ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელშიც მხოლოდ სახელმწიფო და კერძო პირი მონაწილეობს (მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები).

იმის გათვალისწინებით, რომ კერძო პირებს შორის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით გავრცელების შემთხვევაში ერთმანეთს მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ღირებულებები უპირისპირდება, გამოსავლად მიგვაჩნია საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დისკრეციის მინიჭება, ყოველ კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე შეაფასოს, თუ რომელი ინტერესია (სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი თუ მოსარჩელის მდგომარეობაში მყოფი პირების უფლებების დაცვა) უპირატესი და ამის მიხედვით თვითონვე განსაზღვროს კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის სამართლებრივი შედეგები. მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილი მაგალითად გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო.

საინტერესოა, რომ ვენეციის კომისიის მითითებით, ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია კანონის უკუძალით გაუქმების საგამონაკლისო წესი მხოლოდ მოსარჩელესთან მიმართებით. კომისიის შეფასებით, ამგვარი გამონაკლისი გამართლებულია, რათა წახალისებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის და კონსტიტუციური მართლწესრიგის დაცვის ინტერესი.¹⁴

¹⁴ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების შესახებ“ ვენეციის კომისიის დასკვნა- Study On Individual Access To Constitutional Justice Adopted by the Venice Commission as its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც, კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაფასა საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც შიდასამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტურობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 და 35-ე მუხლებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ, სასამართლოს დასკვნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლოა არ წარმოადგენდეს კონვენციის მიზნებისათვის სათანადო სამართლებრივ დაცვის საშუალებას, მაშინ, როცა საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობას ეხება. კერძოდ, ამ ნაწილში სასამართლომ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის არსებობის პირობებში გათვალისწინებული არ არის დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმები, რაც ექვემდებარება აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს როლს ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვის ნაწილში.¹⁵ მეტიც, ამ ნაწილში სასამართლომ დამატებით ისიც აღნიშნა, რომ ეს პრობლემა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნოს და გააუქმოს ნორმა, თუმცა აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენს არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებაზე.¹⁶

კანონპროექტით გათვალისწინებულია ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში ცვლილებები, რის შედეგადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც გახდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება, თუკი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი მისი ამოქმედების მომენტიდან ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული სხვა ვადიდან და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს ეფუძნება. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ამ საკითხთან დაკავშირებით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში რელევანტურ ცვლილებებს.

9) საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა კონკრეტულად არ არეგულირებს საქმის განხილვისას პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს.

ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი და მეორე მხრივ პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესები სამართლიანად დაბალანსდეს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო

2010), Study N538/2009,, გ. 52, პარ. 195, ხელმისაწვდომია - [http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](http://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e)

¹⁵ აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, N40765/02 28.02.2007, პარ.46

¹⁶ აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, N40765/02, 28.02.2007, პარ.43

სასამართლოს კონტექსტში, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება ეხებოდეს არა მარტო კონკრეტულ მოსარჩელეს, არამედ პირთა განუსაზღვრელ წრეს.

ამ ნაწილში კანონპროექტი იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულ სტანდარტს, რომელიც ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამტრიახის შესაძლებლობას, უფრო ზუსტად, განმცხადებლის ანონიმურობას, მის მიერ სასამართლოსადმი დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, თუ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის შეზღუდვა არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცვად არის აუცილებელი ან/და მოსარჩელის იდენტიფიცირების შემთხვევაში მისი უფლებების დარღვევის რეალური საფრთხე არსებობს.¹⁷

10) საკონსტიტუციო სასამართლოში პრიორიტეტული საქმეების დაჩქარებულად განხილვა

უახლოეს წარსულში საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებული ხმაურიანი მოვლენების დროს, ადგილი ჰქონდა ბევრი სახის სპეკულაციას კონკრეტული საქმეებისთვის პრიორიტეტის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობა ამ კუთხით არ ითვალისწინებს რაიმე განსაზღვრულ წესს.

ბუნებრივია, რომ სარჩელების შეტანის რიგითობა ვერ იქნება ერთადერთი კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ხდება საკონსტიტუციო საქმეთა განხილვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ კონსტიტუციის დამცველის როლი საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში განსაკუთრებით საჭიროს ხდის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ხანდახან მხედველობაში მიიღოს სხვა მოსაზრებები, გარდა წმინდა ქრონოლოგიური მიმდევრობისა, მათ შორის, საქმის ბუნება და მისი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა.¹⁸ ვენეციის კომისია ასევე მიუთითებს, რომ ნებისმიერი იძულება ან ვალდებულება, მოსმენის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარიმართოს ქრონოლოგიურად, შესაძლოა არღვევდეს ევროპულ სტანდარტებს. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოისმინოს და დაასრულოს მსჯელობა ზოგიერთ საქმეზე უფრო ადრე, ვიდრე სხვაზე.¹⁹

კანონპროექტები ითვალისწინებს პრიორიტეტული საქმეების განსაზღვრის წესს, რაც გულისხმობს მხარის შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მისი საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭების და, შესაბამისად, დაჩქარებული წესით განხილვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც მიანიჭოს საქმეს პრიორიტეტი. ამ ნაწილში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, რიგ საქმეებს, მათ შორის, როცა განმცხადებელს თავისუფლება აქვს შეზღუდული და დავაც სწორედ აღნიშნულ საკითხზე, პრიორიტეტი ენიჭება.

¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის (Rules of Court) 33-ე და 47-ე მუხლები - ხელმისაწვდომია - https://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf

¹⁸ Süßmann v Germany, Case No 57/1995/563/649, ECHR 1996

¹⁹ CDL-AD(2016)001 OPINION ON AMENDMENTS TO THE ACT OF 25 JUNE 2015 ON THE CONSTITUTIONAL TRIBUNAL OF POLAND

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს ისეთ საქმეებსაც, რომლებთან მიმართებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს კონვენციის სისტემის ეფექტურობაზე და სხვა.²⁰

11) პარლამენტის მიერ შესაგებლის წარდგენის ვალდებულება

მოქმედი კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის ჩატარებამდე არც მხარისთვის და არც სასამართლოსთვის ცნობილი არ არის მოპასუხე მხარის პოზიცია. მოსაპუხე მხარეს არ ევალება სარჩელისთვის წერილობით პასუხის გაცემა.

ზეპირი მოსმენის მაქსიმალურად ეფექტურად ჩატარებისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოსთვის და მხარისთვის წინასწარ იყოს ცნობილი, მოპასუხე მხარის პოზიციები სარჩელთან დაკავშირებით, აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესისთვის მოსარჩელი მხარის სათანადოდ მომზადებას, რადგან მისთვის წინასწარვე ცნობილი იქნება თუ რა არგუმენტებით დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციებს. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის ვალდებულება ასევე ხელს შეუწყობს სასამართლოს წინასწარვე მისთვის ცნობილ არგუმენტებზე მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია პროცესზე. ეს ყოველივე კი დაზოგავს სასამართლოს რესურსსაც და შეამცირებს პროცესისთვის საჭირო დროს და ასევე უფრო მეტად უზრუნველყოფს საქმის საფუძვლიანად გამოკვლევის მიზანს.

12) საკონსტიტუციო სასამართლოში ძალადაკარგული ნორმის გასაჩივრება

სასამართლოს მოქმედი პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს მხოლოდ გასაჩივრების დროს ძალაში მყოფ სადავო ნორმებს, რაც რიგ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს აქცევს არაეფექტურ მექანიზმად დაიცვას ადამიანის უფლებები სახელმწიფოს არაკონსტიტუციური ჩარევისგან.

შესაძლებელია განვიხილოთ შემთხვევები, როცა არაკონსტიტუციურმა კანონმა ზიანი მიაყენა პირს, შემდგომ კი კანონი თვითონ საკანონმდებლო ორგანომ ძალადაკარგულად გამოაცხადა. ასეთ შემთხვევაში პირს არ აქვს შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით დაადასტუროს, რომ მისი ინტერესები არაკონსტიტუციურად შეიზღუდა და შესაბამისად პირი კარგავს ყველანაირ შესაძლებლობას აღიდგინოს არაკონსტიტუციური კანონით დარღვეული მისი უფლებები. ამგვარი მიდგომა ეჭვქვეშ აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმის, არსებობის საკითხს.

²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის (Rules of Court) 41-ე მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრიორიტეტების პოლიტიკა, ხელმისაწვდომია - https://www.echr.coe.int/Documents/Priority_policy_ENG.pdf

13) საქმის განხილვის დროს სადავო ნორმის ცვლილების და მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის საკითხი

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, აგრეთვე საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მე-6 პუნქტით კი დადგენილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმწესრიგებელ სხდომამდე სადავო ნორმის ცვლილების შემთხვევაში სასამართლოს არ აქვს დისკრეცია და ის ავტომატურად წყვეტს საქმის წარმოებას, ხოლო განმწესრიგებელი სხდომის გავლის შემდგომ სასამართლოს აქვს დისკრეცია გააგრძელოს საქმის განხილვა თუ ჩათვლის რომ იგი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვისთვის.

ცხადია, რომ აღნიშნული მექანიზმი მნიშვნელოვანია მოსარჩელის უფლებების სრულყოფილად დაცვისათვის. გარდა ამისა, სამართალწარმოების გაგრძელება და დასრულება საშუალებას იძლევა მომავალში გამარტივებული წესით გაუქმდეს ე. წ. „დამძლევი“ ნორმა.

ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ ათვლის წერტილმა, რომლის შემდეგაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების გაგრძელება სარჩელის რეგისტრაციაზე უნდა გადაინაცვლოს. აღნიშნული აამაღლებს უფლების დაცვის სტანდარტებს და სასამართლოს ეფექტურობას.

ასევე პრობლემურია მოქმედი წესი, რომლის თანახმად მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, ამასთან მოსარჩელე საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, რაც ყველა შემთხვევაში იწვევს საქმის შეწყვეტას. აღნიშნული ზოგადი წესი განსაკუთრებით პრობლემურად შეიძლება ჩაითვალოს, როცა სასამართლო სათათბირო ეტაპზეა გასული. ამ დროს, სასამართლოს გადაწყვეტილება რამდენმე დღეში შეიძლება გამოჰქონდეს.

მართალია, კონსტიტუციური მართლმსაჯულება ემსახურება კონკრეტული მოსარჩელის ინტერესების დაცვასაც, თუმცა მას ასევე აქვს უფრო ფართო მიზანიც, რაც კონსტიტუციური პრინციპების დაცვაში გამოიხატება, აქედან გამომდინარე სასამართლოს შესაძლებელია რიგ შემთხვევაში შესაძლებელია ჰქონდეს დისკრეცია გამოიტანას გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც როცა მოსარჩელე სარჩელზე უარს ამბობს.

ვენეციის კომისია ინდივიდუალური სარჩელის კვლევაში აღნიშნავს, რომ ნორმატიულ კონსტიტუციურ კონტროლის დროს საკონსტიტუციო სასამართლოები ყველა შემთხვევაში არ წყვეტენ საქმის განხილვას როცა მოსარჩელე უარს ამბობს საქმის განხილვაზე. სასამართლოს უნდა ჰქონდეს დისკრეცია, გააგრძელოს საქმის განხილვა და მიიღოს გადაწყვეტილება, როცა ამის საჯარო ინტერესი არსებობს. ეს წესი არის საკონსტიტუციო სასამართლოს ავტონომიის და მისი, როგორც კონსტიტუციის მცველის, ფუნქციის გამოვლინება.

14) კანონპროექტებში ასახული სხვა საკითხები

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, კანონპროექტები ასევე მოიცავს სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებსაც. მაგალითისათვის, ინიცირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ ფიცის დადების წესი. დღევანდელ პირობებში კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფიცის დადებას რელიგიური ნაწილის გარეშე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრთა უფლებების დარღვევა, რომლებსაც არ სურთ დადონ რელიგიური ფიცი. ამ ნაწილში გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა მსგავსი ფაქტების მიმართ (მაგ. საქმეზე „ბუსკარინი და სხვები სან მარინოს წინააღმდეგ“²¹ და ასევე გერმანიისა²² და ავსტრიის²³ გამოცდილება, სადაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს).

გარდა ამისა, მეტი სიცხადისთვის გათვალისწინებულია მოწმის, ექსპერტისა და სპეციალისტის ცნების განმარტებები. მოქმედი კანონმდებლობით ეს საკითხი არ არის დარეგულირებული. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ უთითებს არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტზე, რომლითაც ეს საკითხი არის მოწესრიგებული.

ცვლილებებით ასევე ინიცირებულია, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელისათვის საპროცესო ხარჯების ანაზღაურების წესი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ინიცირებული ცვლილებები ასევე მოიცავს მხარეთათვის სხდომის ჩანიშვნის შესახებ შეტყობინების ვადების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს მსგავს ვადას, თუმცა იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომისათვის (როგორც განმწესრიგებელ, ისე არსებითი განხილვის ეტაზე) მოსამზადებლად მხარეს ჰქონდეს სათანადო მომზადების შესაძლებლობა, აუცილებელია ეს ვადები კანონმდებლობით იყოს გათვალისწინებული. მხარეების გაფრთხილებასთან ერთად, კანონპროექტებით ასევე გათვალისწინებულია, სხდომის ჩატარების თარიღის იმავე ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულებაც, რათა

²¹ „ბუსკარინი და სხვები სან მარინოს წინააღმდეგ (Buscarini and Others v. San Marino), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, No 24645/94, 18.02.1999

²² ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-11 პარაგრაფის მე-3 აბზაცი, ხელმისაწვდომია - http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Downloads/EN/Gesetze/BVerfGG.pdf?__blob=publicationFile&v=5.

²³ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-8 პარაგრაფის მე-3 აბზაცი, ხელმისაწვდომია - <http://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10000245>

დაინტერესებულ პირებს ქონდეთ გონივრული ვადა ინტერესის შემთხვევაში დაესწრონ სასამართლო განხილვებს.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას ხელახლა განიხილოს საქმე როცა ამის საჭიროება არსებობს. აღნიშნული მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ისეთ შემთხვევებში, როცა ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებები მნიშვნელოვნად იცვლება.

კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია იმ წესის ცვლილება, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღება იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მოქმედების ავტომატურ შეჩერებას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. კანონპროექტით შემოთავაზებულია, ინიციატივა, რომლის თანახმად სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს სადავო ნორმების შეჩერების მიზანშეწონილობას.